გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განკარგულება № 88

2025 წლის 11 ივლისი
ქ. გორი

ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები ოჯახების (24 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების განცხადება, სადაც მოსახლეობა აღნიშნავს, რომ აქვთ წყალარინების სისტემის პრობლემა, არ აქვთ კანალიზაცია, რაც იწვევს ანტისანიტარიას. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ გორის სერვის ცენტრის 2025 წლის 14 აპრილის №6829/29/01 წერილში აღნიშნულია, რომ მეჯვრისხევის ბარაკი №5 მცხოვრებმა მოსახლეობამ უნდა მიმართოს წყალმომარაგების კომპანიას ინდივიდუალური განცხადებით ახალი დაერთების სამუშაოების შესრულების თაობაზე, ასევე უნდა წარადგინონ საჯარო რეესტრიდან ცნობა საკუთრების შესახებ და ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგადაც შპს „საქართველოს გაერთინებული წყალმომარაგების კომანია“ ინდივიდუალურად განიხილავს წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელებზე ახალი დაერთების სამუშაოების შესრულების საკითხს.

აღნიშნულ დასახლებაში ცხოვრობს 24 ოჯახი, რომლებსაც საკუთრებაში აქვს რეგისტრირებული უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი). აღნიშნულმა პირებმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან“ წარმოდგენილი ინვოისები და ითხოვენ ფინანსურ დახმარებას. წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 49500 (ორმოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარს. მითითებული თანხა გათვალისწინებული გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

ვინაიდან მაცხოვრებლები ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებენ ქსელზე მიერთების საფასურის გადახდას, მოსახლეობის მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერია და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მითითებულ ფაქტებს ანგარიშგასაწევ სოციალურ/სამართლებრივ გარემოებად თვლის და მიზანშეწონილად მიაჩნია დამტკიცდეს პროგრამა, რომლის მიხედვითაც განხორციელდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ გორის სერვის ცენტრის 2025 წლის 14 აპრილის №6829/29/01 წერილის და წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში

მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები 24 ოჯახის დახმარება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის (24 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების მოწყობის საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა დანართი №1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცებულმა პროგრამამ საერთო ბიუჯეტით შეადგინოს 49500 (ორმოცდაცხრა ათას ხუთას ლარი) ლარი, რომელიც დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (ორგანიზაციული კოდი 02 03 04);

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი №1

ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის (24 ოჯახი) წყალარინების ქსელზე მიერთების მოწყობის საფასურის გადასახდელად ფინანსური დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

1.1 ამ პროგრამის მიზანია ,,სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და ქ. გორში, მეჯვისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები ოჯახებისათვის წყალარინების ქსელის მოწყობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარების გაცემა.

1.2. პროგრამით დაკმაყოფილდებიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა.

მუხლი 2. პროგრამის სახე და ბენეფიციართა განსაზღვრა

2.1 პროგრამის სახეა ფულადი სოციალური დახმარება;

2.2 პროგრამაში ბენეფიციარები არიან ქ. გორში, მეჯვრისხევის ბარაკი №5 დასახლებაში მცხოვრები დანართი №1-ით განსაზღვრული 24 ოჯახი, რომლებსაც არ აქვთ წყალარინების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების და აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა. ბენეფიციარების იდენტიფიცირება და დაფინანსება ხორციელდება წმინდაწყლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 3. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

3.1 პროგრამის განხორციელებისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გასათვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალური მოცულობაა 49500 (ორმოცდაცხრა ათას ხუთასი ლარი) ლარი

3.2 წარმოდგენილი ფინანსური დახმარება წარმოადგენს ერთჯერადად გასაწევ დახმარებას.

3.3 პროგრამის დაფინანსების წყაროა გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 03 04)

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების ადგილი და ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება განხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ანგარიშზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით, უნაღდო ანგარიშსწორებით მეშვეობით.

მუხლი 5. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დასრულდება 2025 წლის ბოლომდე.

დანართი №1

№	სახელი , გვარი	პირადი ნომერი	მისამართი	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი
1	სტეფანე ჩილაშვილი	59001006456	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.056
2	გაგა აბალაკი	59001047366	ნადირაძის №20	66.45.05.559
3	ტატიანა მირუაშვილი	59001100086	ნადირაძის ქუჩის მიმდებარედ	66.45.05.693
4	გიორგი სამხარაძე	59001068589	ნადირაძის ქ №20ბ	66.45.05.529
5	გიორგი ბაბუციძე	50001002647	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.021
6	კახაბერ ვანიშვილი	59001017489	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.163
7	გიორგი ახალკაცი	43001026538	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.550
8	ირმა სეხნიაშვილი	59001115097	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.919
9	ლეილა ზაუტაშვილი	59001043979	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.120
10	ნანული გიგაური	59001054309	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.088
11	ტარიელ ლაღიაშვილი	59001039215	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.510
12	ლაშა საყვარელიძე	59001100109	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.623
13	ივანე ჯიკაევი	59001025849	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.533
14	ალექსანდრე დუდაშვილი	59001016274	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.628
15	ალექსანდრე მაისურაძე	59002008153	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.016
16	ეთერ წიკლაური	59001086883	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.931
17	ზურიკო კობერიძე	59001064713	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.651
18	ნაზო ქვრივიშვილი	59001017350	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.594
19	მევლუდი ლაფაჩი	59003002454	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.649
20	ალექსანდრე ჭულუხაძე	59001085790	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.05.20.132

21	ანა ქარელი	59001000583	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.726
22	ალექსანდრე მჭედლიშვილი	59401133970	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.170
23	ოთარ ტატუნაშვილი	59001015918	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.957
24	მიხეილ ჩაჩანიძე	54001058004	მეჯვისხევის ბარაკი №5	66.45.05.072